პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N

2025 წლის _____ ივნისი, ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, 1 სართულზე მდებარე N24ა ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 13 ივნისის N5838/01 წერილის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, 1 სართულზე მდებარე 169,52 კვ.მეტრი N24ა ბინა (საკადასტრო კოდი: 05.34.23.013.01.024ა).
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, 1 სართულზე მდებარე N24ა ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2025 წლის 13 ივნისის N5838/01 (N07-142516728-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2022 წლის 24 ნოემბრის N33 ოქმით, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. მათ შორის ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქ.N18-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.34.23.013) N01/6 შენობა- ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ბინა N24ა - 169,52 კვ.მ. საერთო ფართის ფაქტობრივი მფლობელის (ო. ბ. - პ/ნ---) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. აღინიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ფართის სახელმწიფო საკუთრერბად რეგისტრაციისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის შემთხვევაში არსებობს კომისიის მიერ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი და აქედან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების - ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქ.N18-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.34.23.013) N01/6 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ბინა N24 ა - 169,52 კვ.მ. საერთო ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ განახორციელა ზემოხსენებული უძრავი ქონების სახელმწოფო საკუთრებად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, შემდეგი მონაცემებით: ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქ.N18-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს/კ 05.34.23.013) N01/6 შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ბინა N24 ა - 169,52 კვ.მ. საერთო ფართი - ს.კ.

05.34.23.013.01.024ა.

ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ.05.34.23.013.01.024ა). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ რეკომენდაციის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინების/ფართების) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემა იქ მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე საკუთრებაში გადასაცემად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი **დავით კოპინაძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 5838/01 "13" 06 2025

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიორგი მურვანიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანების თანახმად შექმნილი „სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის" მიერ 2022 წლის 24 ნოემბრის N33 საოქმო გადაწყვეტილებით გაცემულ იქნა რეკომენდაცია ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქ. N18-ში მდებარე N01/6 შენობა-ნაგებობის (ს/კ 05.34.23.013) პირველ სართულზე არსებული 169,52 კვ.მეტრი N24ა ბინის ფაქტობრივი მფლობელისათვის ([redacted] - პ/ნ [redacted]) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გატარება უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებულ იქნა უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა საკადასტრო კოდით - 05.34.23.013.01.024ა. ხოლო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2025 წლის 16 მაისის N14-1425136212 კორესპონდენციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აცნობა, რომ აღნიშნული უძრავი ქონება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ზემოაღნიშნული უძრავი ქონება.

კ. გამსახურდიას ქ. N9, 6010 ბათუმი, საქართველო
ტელ.: +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

9, K. Gamsakhurdia Str., 6010 Batumi, Georgia
Phone: +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

გთხოვთ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქ. N18-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე 169,52 კვ.მეტრი ბინა N24ᵃ (ს/კ 05.34.23.013.01.024ა). შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ო[redacted] ბ[redacted]- პ/ნ [redacted]) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

დანართი: „ 22 “ ფურცელზე.

პატივისცემით,

სულხან თამაზაშვილი

5838-02-2-202506131829
https://edocument.ge/AdjaraGov/public